კორონავირუსის პრევენციის მიზნით სახელმწიფოში მოქმედი წესები

„იზოლაციისა და კარანტინის წესების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, იზოლაციას (კარანტინს ან თვითიზოლაციას) ექვემდებარება უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ან/და კორონავირუსის შემთხვევასთან კონტაქტირებული ყველა ფიზიკური პირი.

პირის კარანტინში მოთავსების ან თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ეპიდემიოლოგი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შემდგომ.

პირი ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ იგზავნება სახლში, თუ პირის საცხოვრებელი ადგილი შეესაბამება თვითიზოლაციის მოთხოვნებს. თვითიზოლაციის განმავლობაში მისი პერიოდული კონტროლი ხორციელდება ეპიდემიოლოგის და შსს შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება თვითიზოლაციის პირობების დარღვევა, მოხდება პირის გადაყვანა იძულებით კარანტინში. იზოლაციისა და კარანტინის წესები განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

სადიაგნოსტიკო ტესტი (ანალიზი) ტარდება ექიმის გადაწყვეტილების შესაბამისად. ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული სადიაგნოსტიკო, მათ შორის, სპეციფიკური კვლევები, სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან.

სახელმწიფოს მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში გააქტიურებული სერვისები

ვირუსთან დაკავშირებული სიმპტომების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია ოჯახის ექიმის უფასო კონსულტაცია 24 საათის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის კოორდინაციით, მოქმედებს ორი საკომუნიკაციო საშუალება ცხელი ხაზის სახით - 144 და 112. ასევე, დაკავშირება შესაძლებელია ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 1505.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებასთან გადამისამართების მიზნით, მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ 112-ით.

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე, მათ შორის ეხება თუ კონკრეტული შეზღუდვა ფიზიკურ პირს, ვრცელდება თუ არა შეზღუდვა კონკრეტულ ეკონომიკურ საქმიანობას და ა.შ. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია 144-ზე დარეკვით.

განახლებული ინფორმაციის მიღების წყაროები

კორონავირუსის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილია ვებგვერდი - https://stopcov.ge. ვებგვერდზე მუდმივ რეჟიმში ხდება ინფორმაციისა და სტატისტიკის განახლება.

რეკომენდაციებთან და ახალი კორონავირუსის საქართველოში გავრცელების მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე - www.ncdc.ge.

კორონავირუსის პრევენციასთან და ეპიდემიის მართვასთან დაკავშირებით, მთავრობის მხრიდან, ხორციელდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა, აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გაზიარება.